დანართი №1

სსიპ -ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა
და
სადისერტაციო საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. ეს დებულება აწესრიგებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სადოქტორო პროგრამების განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ პროცედურას „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა, თსუ-ის წესდების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებისა და თსუ-ში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

თავი I
დოქტორანტურა

მუხლი 2. დოქტორანტურა

2.1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურა არის უმაღლესი განათლების მესამე საფეხური, სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო და უმაღლესი სკოლის პედაგოგიური კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. დოქტორანტურის მიზანია სადოქტორო პროგრამების საფუძველზე დოქტორანტის ინტელექტუალური ზრდა, ახალი ცოდნის შექმნისა და დანერგვისათვის ხელის შეწყობა.
2.2. დოქტორანტი არის პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში.
2.3. დოქტორანტურა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს.
2.4. დოქტორი უმაღლესი აკადემიური ხარისხია, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის კურსდამთავრებულს ენიჭება დისერტაციის დაცვის შემდეგ შესაბამის საგანმანათლებო მიმართულებით.
2.5. დოქტორანტურის კურსდამთავრებულს აკადემიურ ხარისხს ანიჭებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის ფორმირება ხდება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად - მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.

მუხლი 3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურაში სწავლა

3.1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს პროგრამაზე მიღების წინაპირობების დაცვით.
3.2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიეცეს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს კანონმდებლობით დადაგენილი წესის შესაბამისად.
3.3. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს პირს, რომელსაც უკვე აქვს დოქტორის აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი რომელიმე სხვა დარგში.
3.4. დოქტორანტობის კანდიდატი წარმოდგენს განაცხადს და ამ დებულებით დადგენილ სხვა დოკუმენტაციას და გადის გასაუბრებაზე თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით დადგენილი წესით.
3.5. დოქტორანტურაში მიღების წესი რეგულირდება ფაკულტეტის დებულებით.
3.6. დოქტორანტს აქვს უფლება შეიცვალოს სადოქტორო პროგრამა ფაკულტეტის ფარგლებში. აღნიშნულ საკითხს განიხილავს სადისერტაციო საბჭო დოქტორანტის განცხადების საფუძველზე, იმ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობის შემთხვევაში, რომელზე გადასვლაც სურს დოქტორანტს. მობილობის წესით სადოქტორო პროგრამის შეცვლის მსურველი დოქტორანტი უნდა აკმაყოფილებდეს პროგრამაზე მიღების ყველა წინაპირობას. დოქტორანტის მიერ სადოქტორო პროგრამის შეცვლა ფორმდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით, ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე.

მუხლი 4. სადოქტორო პროგრამა

4.1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურაში სწავლა მიმდინარეობს სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.
4.2. ფაკულტეტი დოქტორანტურაში მიღებას აცხადებს კონკრეტულ სადოქტორო პროგრამებზე.
4.3. სადოქტორო პროგრამა განსაზღვრავს მეცნიერების ამა თუ იმ დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვების პირობებს.
4.4. სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან და სრულდება სადისერტაციო ნაშრომის დაცვით.
4.5. სადოქტორო პროგრამაში ჩართულ დოქტორანტს ჰყავს სამეცნიერო ხელმძღვანელი და აქვს კონკრეტული კვლევითი პროექტი,რომელიც მიესადაგება შემოთავაზებული სადოქტორო პროგრამის პრობლემატიკას/სფეროს.
4.6. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამები მოიცავს 180 ECTS კრედიტს, აქედან სასწავლო კომპონენტი შეადგენს 60 ECTS კრედიტს, კვლევითი კომპონენტი - 120 ECTS კრედიტს.

მუხლი 5. სადოქტორო პროგრამის სახეები

5.1. სადოქტორო პროგრამა შეიძლება იყოს დარგობრივი, ინტერდისციპლინური ან თემატური.

5.2. სადოქტორო პროგრამა შეიძლება განხორციელდეს საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სამეცნიერო–კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობით.
5.3. ერთობლივი საერთაშორისო პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს თსუ-ის რეგულაციებით დადგენილ მოთხოვნებს.
5.4. სადოქტორო პროგრამები შეიძლება გაერთიანდეს სადოქტორო სკოლებში, ინტერდისციპლინურ ცენტრებში და ა. შ.

მუხლი 6. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი

6.1. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი შეიძლება იყოს თსუ-ის შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, შესაბამისი პროფილის აკადემიური პერსონალის საერთო შეთანხმებისა და გადაწყვეტილების საფუძველზე.
6.2. პროგრამას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი/კოორდინატორი.
6.3. სადოქტორო პროგრამის თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პირი შესაბამისი პროფილის აკადემიური პერსონალის შუამდგომლობისა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.
6.4. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი კოორდინირებას უწევს კურიკულუმის შემუშავების პროცესს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები,შესაბამისი დარგის სპეციალისტები, დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელები; სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების პროცესის საჯაროობასა და გამჭვირვალობას, სადოქტორო პროგრამის საჯარო განხილვას შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ან შესაბამისი პროფილის აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პედაგოგების სხდომაზე.
6.5. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი არის ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითადი საკონტაქტო პირი, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და ევალება მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით.
6.6. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს ევალება: სტუდენტების ინფორმირება კურიკულუმის შესახებ, დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ერთად კონსულტაციის გაწევა სტუდენტების ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი კომპონენტის ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ერთად მონაწილეობა სადოქტორო სემინარში, პროგრამის მონაწილე დოქტორანტების სასწავლო და კვლევითი კომპონენტის განხორციელების მონიტორინგი და სხვ.
6.7. ერთი და იგივე პირი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი.

6.8. სადოქტორო პროგრამის წარმოდგენისა და დამტკიცების პროცედურა განსაზღვრულია თსუ-ის რეგულაციებით.

მუხლი 7. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

7.1. ფაკულტეტი უზრუნველყოფს დოქტორანტს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სამეცნიერო ხელმძღვანელით.
7.2. დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი. ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.
7.3. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი - სადოქტორო პროგრამაში ჩართული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ემერიტუსი პროფესორი.
7.4. სამეცნიერო ხელმძღვნელს უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები.
7.5. დოქტორანტის თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არ არის სადისერტაციო საბჭოს წევრი.
7.6. სამეცნიერო ხელმძღვანელის შერჩევისას პირველ რიგში განიხილება დოქტორანტის მიერ შემოთავაზებული კანდიდატურა.
7.7. სამეცნიერო ხელმძღვანელი კონტროლს უწევს დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმის შესრულებას.
7.8. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს და სადისერტაციო თემის სათაურს ამტკიცებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო სადოქტორი პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით.
7.9. ერთი პროფესორი/ასოცირებული პროფესორი ერთდროულად შეიძლება იყოს არაუმეტეს 5 (ხუთი) დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.
7.10. თუ სამეცნიერო ხელმძღვანელი უარს ამბობს დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე, ამის შესახებ მან სწავლის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული განცხადება უნდა წარუდგინოს სადისერტაციო საბჭოს.
7.11. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს უფლება აქვს, დოქტორანტს სამეცნიერო ხელმძღვანელად დაუტოვოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აღარ უჭირავს თსუ-ში აკადემიური თანამდებობა. ასეთ შემთხვევაში ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მისი საბჭოში მოწვევის შესახებ.

მუხლი 8. დოქტორანტურაში მიღების პირობები

8.1. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება მხოლოდ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.
8.2. დოქტორანტობის კანდიდატი წარმოადგენს განაცხადს და გადის გასაუბრებას დარგობრივ მიმღებ კომისიასთან.
8.3. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობაა სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა.

8.4. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დადასტურება (”უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის განმარტება, შესაბამისი სერტიფიკატებისა და ქულების ნუსხა” იხ. თსუ-ის აკადემიური საბჭოს N 25/2011 დადგენილების დანართი N 2).

8.5. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც განათლება მიღებული არ აქვს ქართულ ენაზე და ქართულენოვან სადოქტორო პროგრამაზე სურს სწავლის გაგრძელება, წარმოადგენს ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში დადგენილი წესით.

მუხლი 9. თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესი და წინაპირობები

9.1. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველს წერილობითი განაცხადი შეაქვს რექტორის სახელზე, რომელშიც მითითებული უნდა იყოს სადოქტორო პროგრამა.

განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) განმცხადებლის ავტობიოგრაფია („CV“)

ბ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის დამოწმებული ასლი;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

დ) სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა;

ე) უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) .

ვ) ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, რომ განმცხადებელი არ ირიცხება სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურაში.

9.2. დოქტორანტობის კანდიდატი გასაუბრებას გადის თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დარგობრივ კომისიასთან, რომელიც იქმნება ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით რექტორის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე. კომისიის წევრებს კანდიდატის საანკეტო მონაცემებს მოახსენებს და შუამდგომლობას აცნობს კომისიის თავმჯდომარე (მისი არყოფნის შემთხვევაში მოადგილე).

9.3. უცხო ენის გამოცდის ჩაბარებისა და გასაუბრების გავლის შემდეგ დოქტორანტურაში მიმღები საფაკულტეტო კომისიის დასკვნის საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორი დეკანის წარდგინებით გამოსცემს კანდიდატის დოქტორანტად ჩარიცხვის შესაბამის სამართლებრივ აქტს - ბრძანებას.

9.4. ქართული და უცხო ენის გამოცდის ორგანიზებას და ჩატარებას უზრუნველყოფს თსუ-ის საგამოცდო ცენტრი. უცხო ენაში და ქართულ ენაში საგამოცდო ტესტების მომზადებასა და საგამოცდო ნაშრომების გასწორებაზე პასუხისმგებელია თსუ-ის ენების ცენტრი.

9.5. დოქტორანტურაში ჩარიცხვის შემდეგ დოქტორანტი ხელს აწერს ხელშეკრულებას, რომელიც განსაზღვრავს ყველა მხარის ვალდებულებებსა და უფლებებს.

მუხლი 10. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა და ჩაბარების ვადები

10.1. დოქტორანტმა ჩარიცხვიდან ექვსი სემესტრის განმავლობაში სწავლისა და კვლევის პროცესში უნდა დააგროვოს არანაკლებ 180 კრედიტი.
10.2. დოქტორანტს, რომელიც დადგენილ ვადაში ვერ წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომს, უფლება ეძლევა დაასრულოს დოქტორანტურაში სწავლა დამატებით სემესტრებში. დოქტორანტის ჩარიცხვიდან ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ, მისი დამატებით სემესტრში რეგისტრაციის წინაპირობა არის სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობა, რომელშიც უნდა დასაბუთდეს სწავლის/კვლევის გაგრძელების მიზანშეწონილობა.
10.3. თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურაში სასწავლო კომპონენტს ეთმობა არანაკლენ 60 კრედიტისა, 120 კრედიტი ეთმობა კვლევას.
10.4. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის და/ან გაზაფხულის სემესტრებისათვის.

მუხლი 11. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები

11.1. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.
11.2. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი მოიცავს სავალდებულო და არჩევით კომპონენეტებს.
11.3. სასწავლო კომპონენტის შემადგენელი ელემენტებიდან თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა დოქტორანტისათვის სავალდებულოა:
ა) აკადემიური წერა (კვლევის მეთოდების კომპონენტებით) (0-15 კრედიტი - სავალდებულო სასწავლო კურსი მათთვის, ვისაც აკადემიური წერა/კვლევის მეთოდები წინა საფეხურზე არ გაუვლია);
ბ) სწავლების მეთოდები (არანაკლებ 5 კრედიტისა);
გ) მინიმუმ ერთი სემინარი (10-30 კრედიტი);
დ) პროფესორის ასისტენტობა (არანაკლებ 5 კრედიტისა);
ე) მეცნიერების მენეჯმენტი (არანაკლებ 5 კრედიტისა).
სასწავლო კომპონენტის დანარჩენი ელემენტები არის არჩევითი.
11.4. თუ დოქტორანტი ამავდროულად არის თსუ-ის ასისტენტ პროფესორი/ასისტენტი/მასწავლებელი და ასრულებს მისთვის განსაზღვრულ მინიმალური სავალდებულო საათობრივი დატვირთვით გათვალისწინებულ სამუშაოს, შესრულებული სამუშაო შესაძლებელია ჩაეთვალოს პროფესორის ასისტენტობაში დოქტორანტურის მინიმალური საუნივერსიტეტო სტანდარტით პროფესორის ასისტენტობისათვის განსაზღვრული სავალდებულო კრედიტების მინიმალური რაოდენობით (5 ECTS კრედიტი).
11.5. დოქტორანტურის სავალდებულო კვლევითი კომპონენტები მოიცავს მინიმუმ 2 კოლოკვიუმს (20 კრედიტი თითოეულისათვის) და სადისერტაციო ნაშრომს.

11.6. დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ზოგადი სქემა საერთოა ფაკულტეტის ყველა სადოქტორო პროგრამისათვის. სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ზოგადი სქემების ფარგლებში სადოქტორო პროგრამა უფლებამოსილია თავად დაადგინოს სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შემადგენელი ელემენტები და მათი სტატუსი ამა თუ იმ სასწავლო კურსისათვის, დოქტორანტის ამა თუ იმ საქმიანობისათვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა.

11.7. დოქტორანტი სადოქტორო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით განსაზღვრავს სასწავლო კომპონენტის სავალდებულო და არჩევით ელემენტებს და მათი კრედიტების რაოდენობას, რასაც ასახავს დოქტორანტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში.

მუხლი 12. დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმა

12.1. დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმა იქმნება დარგში მიღებული ცოდნის გასაღრმავებლად და კონკრეტული კვლევითი პროექტის განსახორციელებლად.

12.2. თითოეული დოქტორანტი თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან, შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან შეთანხმებით თვითონ ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო და კვლევით გეგმას.

12.3. დოქტორანტი შევსებულ სპეციალურ ფორმას „დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა“ (ფორმა N1) წარუდგენს ფაკულტეტის ადმინისტრაციას, კერძოდ, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს.

12.4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ, ფაკულტეტის ადმინისტრაცია სადისერტაციო საბჭოს ოფიციალურად აცნობებს დოქტორანტის მიერ სასწავლო კომპონენტის შესრულების შესახებ და წარუდგენს მას ამონაწერს დოქტორანტის სასწავლო ბარათიდან, რომელიც დამოწმებულია ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერითა და ბეჭდით.

12.5. დოქტორანტურაში სწავლის დასაწყისში დოქტორანტი თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან და შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძ-ღვანელებთან შეთანხმებით ადგენს ინდივიდუალურ კვლევით გეგმას და შევსებულ სპეციალურ ფორმას (ფორმა N2) წარუდგენს ფაკულტეტის ადმინისტრაციას, კერძოდ, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს. დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა იქმნება სადისერტაციო ნაშრომის (კონკრეტული კვლევითი პროექტის) განსახორციელებლად. დოქტორანტის ინდივიდუალურ კვლევით გეგმაში მოცემულია კვლევის მიზანი, სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის სავარაუდო გრაფიკი.

12.6. ყოველი სემესტრის ბოლოს დოქტორანტი ფაკულტეტის სამეცნიერო კველევებისა და განვითარების სამსახურში წარადგენს შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშს, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი.

მუხლი 13. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა

13.1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს შეიძლება დოქტორანტის სტატუსი შეუწყდეს:

ა) პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების დადასტურების შემთხვევაში;

ბ) უნივერსიტეტსა და დოქტორანტს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისას.

გ) სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციით, თუ იგი დაასაბუთებს, რომ დოქტორანტი ვერ ართმევს თავს სასწავლო და კვლევით გეგმას და/ან სწავლის დარჩენილ პერიოდში ვერ შეასრულებს ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმით გათვალისწინებულ ამოცანებს.

თავი II

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო

მუხლი 14. სადისერტაციო საბჭო

14.1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო.

14.2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ფაკულტეტის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისაგან.

14.3. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საბჭოს შემადგენლობაში განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება შევიდნენ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირები.

მუხლი 15. სადისერტაციო საბჭოს მუშაობის წესი

15.1. სადისერტაციო საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად.

15.2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო შედგება 5 დარგობრივი სექციისაგან, რომელებშიც ერთიანდებიან საბჭოს წევრი შესაბამისი დარგის სპეციალისტები.

15.3. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს საბჭოს სხდომაზე. სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის 30%-ზე მეტი. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრეთა ხმების, სულ მცირე, 2/3. გარდა ამ დებულების 15.4 და 15.5 მუხლში მითითებული შემთხვევებისა გადაწყვეტილებები მიიღება ფარული ან ღია კენჭისყრით, საბჭოს წინასწარი თანხმობის საფუძველზე.

15.4. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრით 3 წლის ვადით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს. ერთი და იგივე პირი თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. თავმჯდომარის არჩევამდე საბჭოს პირველ სხდომას უძღვება ფაკულტეტის დეკანი.

15.5. სადისერტაციო საბჭო თავმჯდომარის წარდგინებით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს (საბჭოს შემადგენლობიდან) 3 წლის ვადით.
15.6. სადისერტაციო საბჭოს სხდომებს იწვევს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში საბჭოს უძღვება თავმჯდომარის მოადგილე.
15.7. საბჭოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/5-ის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა.
15.8. სადისერტაციო საბჭოს სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 16. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციები და გამგეობა

16.1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს აქვს 5 დარგობრივი სექცია: ფილოსოფიის, ფილოლოგიის, ისტორიის, ხელოვნებათმცოდნეობის და განათლების მეცნიერებების, რომლებშიც ერთიანდებიან საბჭოს წევრი შესაბამისი დარგის სპეციალისტები.
16.2. დარგობრივი სექციის წევრები ირჩევენ ხელმძღვანელს თავისი შემადგენლობიდან 3 წლის ვადით. დარგობრივი სექციის ხელმძღვანელს ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო. ერთი და იგივე პირი დარგობრივი სექციის ხელმძღვანლად შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
16.3. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის მდივანს (სექციის შემადგენლობიდან) სექციის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო 3 წლის ვადით.
16.4. სადისერტაციო საბჭოსთან იქმნება სადისერტაციო საბჭოს გამგეობა, რომლის შემადგენლობაში შედიან: სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი, სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციების ხელმძღვანელები და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.
16.5. სადისერტაციო საბჭოს გამგეობის თავმჯდომარეა სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მდივანი - სადისერტაციო საბჭოს მდივანი.

მუხლი 17. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის მუშაობის წესი

17.1. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის საქმიანობა წარიმართება წინამდებარე დებულების შესაბამისად.
17.2. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექცია გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე. სხდომა უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრეთა ხმების, სულ მცირე, 2/3.
17.3. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სექციის ხელმძღვანელი და მდივანი.

მუხლი 18. სადისერტაციო საბჭოს, გამგეობისა და დარგობრივი სექციის უფლებამოსილება

18.1. სადისერტაციო საბჭო:
ა) ირჩევს და ამტკიცებს საბჭოს თავმჯდომარეს;
ბ) ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს მდივანსა და თავმჯდომარის მოადგილეს;
გ) ამტკიცებს დარგობრივი სექციის ხელმძღვანელსა და მდივანს;
დ) სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს;
ე) სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის/დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის სათაურს;
ვ) წყვეტს დოქტორანტის თემისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის საკითხს.
ზ) იღებს გადაწყვეტილებას აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის შემთხვევაში დოქტორის აკადემიური ხარისხის ჩამორთმევის შესახებ.
თ) ახორციელებს თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილებითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
ი) ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს მუშაობის რეგლამენტსა და სხვა აუცილებელ პროცედურებს და სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციას;
კ) სადისერტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს;
18.2. სადისერტაციო საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ წელიწადში, სულ მცირე, ორჯერ მაინც.
18.3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე სადისერტაციო საბჭოს სხდომას იწვევს საკუთარი ინიციატივით, დეკანის, სადისერტაციო საბჭოს მდივნის, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის ან სადისერტაციო საბჭოს, სულ მცირე, 1/5-ის მოთხოვნით.
18.4. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექცია
ა) ირჩევს დარგობრივი სექციის ხელმძღვანელსა და მდივანს;
ბ) სადისერტაციო საბჭოს დავალებით განიხილავს სადისერტაციო ნაშრომის სათაურს და რეკომენდაციას წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს;
გ) განიხილავს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტთა კანდიდატურებს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად და დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს გამგეობას;
გ) განიხილავს სადისერტაციო კომისიის შემადგენლობის კანდიდატურებს და დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს გამგეობას;
დ) შეარჩევს დაცვის თარიღს და დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს გამგეობას;
ე) სადისერტაციო საბჭოს გამგეობა თავის სხდომებზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით ამტკიცებს დარგობრივი სექციის წინადადებით თითოეული სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებს, სადისერტაციო კომისიის წევრებსა და დაცვის თარიღს.

მუხლი 19. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარისა და დარგობრივი სექციის ხელმძღვანელის უფლებამოსილება

19.1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე საჭიროებისამებრ იწვევს და უძღვება საბჭოს სხდომებს. მისი თანხმობით (ან სადისერტაციო საბჭოს გამგეობის თანხმობით) საბჭოს სხდომას შეიძლება უძღვებოდეს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

19.2. დარგობრივი სექციის ხელმძღვანელი საჭიროებისამებრ იწვევს დარგობრივი სექციის სხდომებს.

მუხლი 20. სადისერტაციო საბჭოსა და დარგობრივი სექციის მდივნის უფლებამოსილება

20.1. სადისერტაციო საბჭოს მდივანს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.
20.2. სადისერტაციო საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს საბჭოს და საბჭოს გამგეობის ორგანიზაციულ საქმიანობას.
ა) აწარმოებს სადისერტაციო საბჭოს და გამგეობის სხდომის ოქმებს უნივერსიტეტში საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად;
ბ) ეხმარება თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში;
გ) ხელმძღვანელობს საბჭოს არქივს და საქმის წარმოებას.
20.3. დარგობრივი სექციის მდივანი უზრუნველყოფს შესაბამისი დარგობრივი სექციის ორგანიზაციულ საქმიანობას.
20.4. კონსულტაციას უწევს და ეხმარება დოქტორანტებს დისერტაციის დაცვამდე და დაცვის შემდეგ სათანადო დოკუმენტაციის მომზადებაში.

მუხლი 21. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

21.1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე საბჭოს თავმჯდომარის (ან გამგეობის) თანხმობით ცალკეულ შემთხვევებში უძღვება სადისერტაციო საბჭოს სხდომას. ეხმარება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში.

მუხლი 22. სადისერტაციო ნაშრომი (დისერტაცია)

22.1. სადისერტაციო ნაშრომი (დისერტაცია) უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს, ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში.
22.2. სადისერტაციო ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. მას უნდა ახლდეს დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი მოკლე ვერსია 30-45 გვერდი (ფორმატი A5) ქართულ და ერთ-ერთ ევროპულ (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ენაზე.
22.3. განსაკუთრებულ შემთხვევებში სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.
22.4. ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში კვლევის ძირითადი შედეგები წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე (40-50 გვერდი, ფორმატი A4).
22.5. სადისერტაციო ნაშრომის მოცულობას, ფორმატსა და სხვა ტექნიკურ მონაცემებს განსაზღვრავს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო სათანადო ინსტრუქციით.
22.6. სადისერტაციო ნაშრომის ზღვრული მოცულობაა 150-250 გვერდი. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია დანართი (ინდექსი, ტექსტები და ა. შ). ფურცლის ზომა A4,

შრიფტი სახეობა - AcadNusx/Sylfaen, შრიფტის ზომა – 12. სტრიქონებს შორის მანძილი 1,5; გვერდის საზღვრები მარცხნიდან 3 სმ; მარჯვნიდან 1,5 სმ; ზემოდან და ქვემოდან 2,5 სმ. ნაშრომს უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი (ციტირებისა და ლიტერატურის მითითების წესი განისაზღვრება სადისერტაციო საბჭოს ინსტრუქციით, რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო).

22.7. დოქტორანტი ვალდებულია, დისერტაციის დაცვის შემდეგ, არაუგვიანეს 6 თვისა, გამოაქვეყნოს დისერტაცია ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით.

22.8. დისერტაციის ერთი ბეჭდური და ელექტრონული ეგზემპლარი უნდა გადაეცეს უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკას.

22.9. დისერტაცია ელექტრონული სახით უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის გამომცემლობის ვებგვერდზე და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ვებგვერდზე.

მუხლი 23. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა

23.1. სადისერტაციო ნაშრომი საბჭოს გადაეცემა ოთხ აკინძულ და ერთ ელექტრონულ ეგზემპლარად.

23.2. დისერტაციის დაცვაზე დასაშვებად აუცილებელია, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა სადისერტაციო საბჭოს წარუდგინოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ იგი გაეცნო დისერტაციას და ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე წარსადგენად. გამონაკლისის სახით, ხელმძღვანელის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში დისერტანტის მოთხოვნით ნაშრომს შეიძლება მიეცეს მსვლელობა დაცვისათვის.

23.3. დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე მოეთხოვება სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი 3 პუბლიკაცია მაღალი სამეცნიერო რეიტინგის მქონე რეცენზირებად ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში დაბეჭდილი 3 სტატიის ან 2 სტატიისა და ერთი მონოგრაფიის სახით, რომელსაც ჰყავს შესაბამისი დარგის კომპეტენტური რედაქტორი და რეცენზენტები. სტატიებიდან ერთი შეიძლება არ იყოს დასტამბული, მაგრამ მიღებული იყოს გამოსაქვეყნებლად.

23.4. სამეცნიერო ჟურნალების, კრებულების, აგრეთვე, მონოგრაფიების რედაქტორ-რეცენზენტთა კომპეტენტურობას გადაწყვეტს სადისერტაციო საბჭო.

23.5. დისერტაციის დაცვის აუცილებელი წინაპირობაა სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაცია, რაც გულისხმობს, რომ დოქტორანტმა უნდა დააკმაყოფილოს ქვემოთ წარმოდგენილი ერთ– ერთი მოთხოვნა მაინც:

ა) დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას ქართველი ხელმძღვანელის პარალელურად ჰყავს უცხოელი ხელმძღვანელი;

ბ) დოქტორანტის სამეცნიერო ნაშრომი სადოქტორო დისერტაციის თემაზე უკვე დაიბეჭდა ან მიღებულია დასაბეჭდად იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში, ან რეფერირებად/რეცენზირებად (რაც დასტურდება შესაბამისი საერთაშორისო კლასიფიკატორით ან სხვა საერთაშორისო დოკუმენტით) ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ საერთაშორისო კონფერენციის მასალებში (ე. წ. Proceedings);

გ) საქართველოში გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში დაბეჭდილი ან დასაბეჭდად მიღებული სტატია უტოლდება უცხოურ რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში გამოქვეყნებულს;

დ) უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი ფაკულტეტებთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს დოქტორანტის სადისერტაციო თემაზე გამოქვეყნებული/გამოსაქვეყნებლად გადაცემული ერთი სტატიის ან დისერტაციის შემოკლებული ვერსიის (30-45 გვერდი) საერთაშორისო რეცენზირებას. სტატიის რეცენზენტი (ექსპერტი) შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის პირი, უცხოური უნივერსიტეტის და/ან სამეცნიერო–კვლევითი ცენტრის მეცნიერ– თანამშრომელი. უცხოელი ექსპერტის დასკვნისათვის გამოყოფილი დრო განისაზღვრება რეცენზირებაზე თანხმობის მიღების დღიდან ორი თვის ვადით. ორი თვის განმავლობაში უცხოელი ექსპერტის პასუხის მიუღებლობის შემთხვევაში დოქტორანტის სტატია/დისერტაციის შემოკლებული ვერსია ეგზავნება სხვა ექსპერტს. ექსპერტებისაგან 6 თვის განმავლობაში პასუხის მიუღებლობის შემთხვევაში დოქტორანტი ასრულებს სადისერტაციო ნაშრომის შეფასების ინტერნაციონალიზაციის რომელიმე სხვა მოთხოვნას. ექსპერტის რეცენზია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარედგინება სადისერტაციო საბჭოს დისერტაციის საჯარო დაცვის დროს გასაცნობად.

საერთაშორისო რეცენზირებისათვის სტატიების წარმოდგენისა და მათი შეფასების ერთიანი წესი განისაზღვრება თსუ-ის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის მიხედვით („საერთაშორისო რეცენზირებისათვის სტატიების წარმოდგენისა და მათი შეფასების ერთიანი წესი“ იხ. თსუ აკადემიური საბჭოს N 25/2011 დადგენილების დანართი N 4).

23.6. საერთაშორისო რეცენზირებისათვის გაგზავნილი ნაშრომი და ნაშრომის შეფასება არ არის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისათვის, გარდა 23.7 პუნქტით გათავისწინებული პირებისა.

23.7. ნაშრომის შეფასების შედეგი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დოქტორანტს, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს და ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს.

23.8. ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის მიმართულების სადისერტაციო ნაშრომებისთვის, სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაციის 23.5. პუნქტით მითითებული ვარიანტების გარდა, დასაშვებია, რომ დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი პუბლიკაციებიდან ერთ-ერთი მაინც იყოს გამოქვეყნებული (ბეჭდური ან ელექტრონული სახით) უცხოენოვან სამეცნიერო ჟურნალში და დისერტაციის უცხო ენაზე თარგმნილი შემოკლებული ვერსია (30–45 გვერდი) დაიგზავნოს უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო–კვლევით ცენტრებში, რომელთა ნუსხას ადგენს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

23.9. დოქტორანტი თავისუფლდება სემესტრული რეგისტრაციისა და სწავლის საფასურის გადახდისაგან სადისერტაციო ნაშრომის სადისერტაციო საბჭოში წარდგენის დღიდან. დოქტორანტმა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურში უნდა წარადგინოს დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების დასრულების შესახებ შესაბამისი დოკუმენტაცია (სადისერტაციო ნაშრომის ერთი ნაბეჭდი ეგზემპლარი, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა, დოქტორანტის პუბლიკაციები და ინტერნაციონალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტები).

23.10. სადისერტაციო ნაშრომთან ერთად დოქტორანტმა სადისერტაციო საბჭოში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა იმის თაობაზე, რომ იგი გაეცნო დისერტაციას და სადისერტაციო მაცნეს და ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე წარსადგენად.
ბ) სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტის კრედიტების დაგროვების დამადასტურებელი დოკუმენტი;
გ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი და/ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სტატიის ნაბეჭდი ვერსია და რედაქტორის (რედკოლეგიის) მიერ გაცემული ცნობა.
დ) იმ სამეცნიერო სემინარებისა და ფორუმების მასალები, რომლებზეც მოხსენებულ იქნა სადისერტაციო ნაშრომის დებულებები თუ შედეგები.
ე) სადისერტაციო ნაშრომის შეაფასების პროცესის ინტერნაციონალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.
ვ) დოქტორანტის ახსნა-განმარტება იმის შესახებ, რომ ნაშრომი მის მიერ არის შესრულებული და ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდაა მითითებული.

წარმოდგენილ დოკუმენტების ამოწმებს სადისერტაციო საბჭოს მდივანი და დარგობრივი სექციის მდივანი;

23.11. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის დასკვნის საფუძველზე დისერტაციას დაცვისთვის მსვლელობას აძლევს სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 24. დისერტაციის წინასწარი შეფასება

24.1. დისერტაციის წარდგენის შემდეგ სადისერტაციო საბჭოს გამგეობა დარგობრივი სექციის წარდგინების საფუძველზე დისერტაციის შესაფასებლად გამოყოფს სულ მცირე ორ შემფასებელს (რეცენზენტს), რომლებიც წარუდგენენ სადისერტაციო საბჭოს სადისერტაციო ნაშრომის წერილობით რეცენზიას ნაშრომის მიღებიდან არა უგვიანეს ორი თვისა.
24.2. შემფასებლად (რეცენზენტად) ინიშნება პირი, რომელსაც სადისერტაციო ნაშრომის სპეციალობით აქვს პუბლიკაციები.
24.3. შემფასებელი არ შეიძლება იყოს დისერტანტის მიერ შესრულებულ ნაშრომთა თანაავტორი, აგრეთვე, დისერტანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული პირი;
24.4. ერთი შემფასებელი შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის და შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე უცხოელი მეცნიერი.
24.5. რეცენზია სადისერტაციო ნაშრომის შეფასებასთან ერთად უნდა შეიცავდეს შესაბამის რეკომენდაციას ნაშრომის დაცვაზე დაშვების ან შესასწორებლად დოქტორანტისათვის უკან დაბრუნების, ანდა დაცვაზე უარის თქმის შესახებ;
24.6. დისერტაციის შეფასება ხდება რეცენზენტთა დასკვნების საფუძველზე. თუ რეცენზენტთა ნახევარზე მეტი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, დისერტაცია საჯარო დაცვაზე დაშვებული არ იქნება.
24.7. ორი რეცენზენტიდან ერთის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო 10 დღის ვადაში გამოყოფს მესამე რეცენზენტს; რეცენზენტებმა თავიანთი წერილობითი დასკვნა უნდა წარმოადგინონ დისერტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 2 თვისა. მესამე რეცენზენტის დანიშვნის შემთხვევაში მას ნაშრომის შეფასებისათვის ეძლევა 1 თვე.

24.8. დასკვნაში მითითებული უნდა იყოს გადაწყვეტილება დისერტაციის დაცვაზე დაშვების, მისი შესწორების მიზნით დოქტორანტისათვის დაბრუნების ან დაცვაზე უარის შესახებ. უმნიშვნელო შენიშვნების შემთხვევაში დისერტაციის მიღება ხდება ხარვეზების გამოსწორების პირობით;

24.9. თუ დისერტაცია არ იქნება დაშვებული დაცვაზე, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს უფლება ეძლევა დამატებით იმუშაოს დისერტაციაზე და ხელახლა წარუდგინოს ის საბჭოს დისერტაციის შეფასებიდან 12-18 თვის ვადაში. ვადის დარღვევის შემთხვევაში პირი დაცვაზე აღარ დაიშვება;

24.10. შესწორებული ნაშრომის ისევ უარყოფითად შეფასების შემთხვევაში დოქტორანტის ნაშრომი არ მიიღება დასაცავად;

24.11. სადისერტაციო საბჭო გადასცემს დოქტორანტს რეცენზენტების დასკვნებს, ხოლო დაცვაზე დაშვების შემთხვევაში ატყობინებს დაცვის თარიღსაც. დოქტორანტს უნდა მიეცეს, სულ მცირე, 20 დღის ვადა დაცვისათვის მოსამზადებლად;

24.12. თუ დოქტორანტს უარი ეთქვა დაცვაზე, უარყოფილი სადისერტაციო ნაშრომის ერთი პირი და რეცენზენტების წერილობითი დასკვნები შესანახად გადაეცემა სადისერტაციო საბჭოს არქივს. დოქტორანტი უფლებამოსილია გაეცნოს ამ დოკუმენტებს. დანარჩენი დოკუმენტები დაუბრუნდება დოქტორანტს.

მუხლი 25. სადისერტაციო კომისია

25.1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე შესაბამისი დარგობრივი სექციის ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციით სადისერტაციო ნაშრომის დასაცავად ქმნის სადისერტაციო კომისიას;

25.2. სადისერტაციო კომისია იქმნება, სულ მცირე, შვიდი წევრის შემადგენლობით (როგორც წესი, კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კენტი რიცხვით), რომელთაც აქვთ ხმის მიცემის უფლება;

25.3. კომისიის წევრი შეიძლება იყოს შესაბამისი დარგის (ან გამონაკლის შემთხვევაში მომიჯნავე დარგის) სპეციალისტი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.

25.4. დისერტანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს და შემფასებელს აქვთ კომისიის მუშაობაში სათათბირო ხმით მონაწილეობის უფლება. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე დარგის სპეციალისტებიც, რომლების არ არიან ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრები. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობის ნახევარი მაინც უნდა დაკომპლექტდეს სადისერტაციო საბჭოს წევრებით; სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, თუკი ის არ არის დასაცავად წარდგენილი დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი, შეიძლება იყოს სადისერტაციო კომისიის წევრი, მაგრამ ვერ იქნება სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე.

25.5. სადისერტაციო კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელიც უნდა იყოს უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ემერიტუს პროფესორი. თავმჯდომარე ასახელებს მდივანს კომისიის წევრთაგან.

25.6. სადისერტაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა;

25.7. სადისერტაციო კომისია უფლებამოსილია გაეცნოს დისერტაციასთან დაკავშირებით შემოსულ წერილობით გამოხმაურებებს.

მუხლი 26. დისერტაციის დაცვა

26.1. დისერტაციის დაცვა არის საჯარო; ინფორმაცია დაცვის შესახებ ქვეყნდება ფაკულტეტის ვებგვერდზე დისერტაციის დაცვამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე.
26.2. დისერტაციის დაცვის ენა არის ქართული. გარდა სპეციალური შემთხვევებისა, რომლებზედაც გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო;
26.3. დაცვის მსვლელობა და მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი;
26.4. დისერტაციის დაცვა შედგება შემდეგი პროცედურისაგან:

ა) დოქტორანტის პრეზენტაცია (არა უმეტეს 30 წუთისა);
ბ) რეცენზიების საჯაროდ წაკითხვა;
გ) სამეცნიერო დისკუსია;
დ) კომისიის დახურული სხდომა სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად, რომელსაც ესწრებიან მხოლოდ კომიის წევრები;
ე) სადისერტაციო ნაშრომის შეფასების გამოცხადება.

26.5. კომისიის ერთ სხდომაზე შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი დისერტაციის დაცვა.
26.6. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა უნდა მოხდეს ნაშრომის სადისერტაციო საბჭოში წარდგენის დღიდან 6 თვის განმავლობაში.

მუხლი 27. დისერტაციის შეფასება

27.1. დისერტაციის შეფასებისას გათვალისწინებული იქნება: საკვლევი თემის აქტუალობა და სიახლე; კვლევის მეთოდების გამოყენების სათანადო დონე; კვლევის საგანთან და ობიექტთან მათი შესაბამისობა; მეცნიერების მოცემული დარგის განვითარებაში დისერტანტის მიერ შეტანილი წვლილი.
27.2. სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით.
27.3. დისერტაციის საბოლოო შეფასებისთვის სადისერტაციო კომისიის მიერ არჩეულ ხმის დამთვლელ კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს ლათინურ შეფასებას შემდეგი სქემის მიხედვით:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 41-50%;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები.

ამ მუხლის "ა"-"ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.
ამ მუხლის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის ერთი წლის შემდეგ წარდგენის უფლება.
ამ მუხლის „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

27.4. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს კომისიის დასაბუთებულ გადაწყვეტილებას აცნობს ზეპირად.

27.5. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე სადისერტაციო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის ერთ ეგზემპლართან ერთად შემდეგ დოკუმენტებს:
ა) რეცენზენტის წერილობითი დასკვნები ხელმოწერილი და ფაკულტეტის ბეჭდით დადასტურებული;
ბ) დისერტაციის დაცვის ოქმი დისერტანტის საპასუხო სიტყვებით (თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით და ფაკულტეტის ბეჭდით დადასტურებული);
გ) დისერტანტის ბანკბარათი.
ჩამოთვლილი დოკუმენტები სადისერტაციო საბჭოს სხდომამდე, რომელზედაც დასმული იქნება საკითხი ამ სადისერტაციო კომისიის დასკვნის დამტკიცების თაობაზე, უნდა ინახებოდეს სადისერტაციო ან დარგობრივი სექციის მდივანთან და ხელმისაწვდომი უნდა იყოს გასაცნობად სადისერტაციო საბჭოს ყველა წევრისთვის.

მუხლი 28. ხარისხის მინიჭება

28.1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტს დოქტორის აკადემიურ ხარისხს (Ph.D) ანიჭებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის ფორმირება ხდება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ დადგენილი კვალიფიკაციის ფორმირების წესის შესაბამისად - მიმართულებების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.
28.2. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდება სადისერტაციო საბჭოზე

სადისერტაციო კომისიის დასკვნის დამტკიცების გზით.

28.3. სადისერტაციო საბჭოს მიერ აკადემიური ხარისხის მინიჭება კანონიერად ითვლება, თუ საბჭოს ესწრებოდა საბჭოს წევრთა 1/3 მაინც, მათ შორის, დისერტაციის პროფილის დარგობრივი სექციის წევრთა არანაკლებ 1/2 და თუ დისერტაციის დაცვას ხმა მისცა საბჭოს დამსწრე წევრთაგან 2/3-ზე მეტმა.

28.4. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დისერტაციის სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ დამსწრეთ ინფორმაციას აწვდის სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე (ან მისი არყოფნის შემთხვევაში დარგობრივი სექციის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით – კომისიის ერთ-ერთი წევრი), რომელიც საბჭოს წარუდგენს დისერტაციის დაცვის დოკუმენტაციას და დისერტაციის ერთ ეგზემპლარს. საბჭოს სხდომაზე იმართება მსჯელობა. საბჭოს წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით (თითოეული დისერტაციის მიმართ) ხმის მიცემა უნდა იყოს ღია ან ფარული.

28.5. სადისერტაციო საბჭოს მიერ სადისერტაციო კომისიის დასკვნის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში საბჭო თავის წევრთაგან გამოყოფს ერთ ექსპერტს (სადისერტაციო თემის სპეციალისტს), რომლის წერილობით დასკვნას (რომელშიც წარმოდგენილი იქნება დისერტაციის შეფასება ზემოთ შემოთავაზებული სისტემის მიხედვით) დისერტანტის თანდასწრებით და საჭიროების შემთხვევაში სათანადო დისკუსიის თანხლებით მოისმენს საბჭოს რომელიმე მომდევნო სხდომაზე (სხდომას უნდა ესწრებოდეს სადისერტაციო კომისიის რამდენიმე წევრი, რომლებიც ამავე დროს არიან საბჭოს წევრები), რასაც თავიდან მოჰყვება ხმის მიცემის პროცედურა. თუ საბჭო სხდომაზე დაამტკიცებს ექსპერტის მიერ წარმოდგენილ დისერტაციის არადამაკმაყოფილებლად შეფასებას, დისერტაცია უბრუნდება დისერტანტს.

28.6. სადისერტაციო საბჭოზე დისერტაციის დაცვის პროცედურის ამსახველი საბჭოს სხდომის ოქმი სადისერტაციო სხდომის მასალებთან (და საგანგებო შემთხვევაში ექსპერტის დასკვნასთან) ერთად, ასევე სადისერტაციო ნაშრომის 1 ეგზემპლარი ინახება სადისერტაციო საბჭოში და შემდეგ გადაეცემა თსუ-ის არქივს.

მუხლი 29. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი

29.1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას ადასტურებს დიპლომი.

29.2. დიპლომი გაიცემა დისერტაციის გამოქვეყნების შემდეგ.

29.3. დოქტორის აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, სტანდარტული დანართითურთ.

29.4. დიპლომის გაცემამდე დოქტორანტს ეძლევა ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მუხლი 30. დისერტაციის გამოქვეყნება

30.1. დოქტორანტი ვალდებულია, დისერტაციის დაცვის შემდეგ, არაუგვიანეს 6 თვისა, გამოაქვეყნოს დისერტაცია ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით.

მუხლის 31. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა

31.1. დოქტორის აკადემიური ხარისხი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორს ჩამოერთმევა აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის შემთხვევაში (სადისერტაციო ნაშრომში გაყალბებული მონაცემების გამოყენება ან პლაგიატი ან სადისერტაციო საქმის წარმოებებისას არასწორი მონაცემების წარდგენა და სხვ.).

მუხლი 32. დაფინანსება

დოქტორანტის დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო გრანტის, საუნივერსიტეტო დაფინანსების, სტიპენდიების, ქველმოქმედების და თვითდაფინანსების ფორმით.

თავი III
გარდამავალი დებულებები

მუხლი 33. გარდამავალი პერიოდის (ინდივიდუალურ) სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხული დოქტორანტები

33.1. თსუ–ის ყოფილი ასპირანტები და მაძიებლები, რომლებსაც 1999 – 2006 წლებში ჩაბარებული აქვთ საკანდიდატო მინიმუმის ყველა გამოცდა, 2007-2010 წლებში ჩაირიცხნენ ე. წ. ინდივიდუალურ (გარდამავალი პერიოდის) სადოქტორო პროგრამებზე.
33.2. გარდამავალი პერიოდის ინდივიდულურ სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხული ყოფილი ასპირანტები და მაძიებლები, რომელთაც საკანდიდატო მინიმუმის საგნები აქვთ ჩაბარებული ან/და დისერტაციის აპრობაცია აქვთ გავლილი, თავისუფლდებიან ამ დებულებით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის კრედიტების დაგროვებისგან. მათ მიერ დისერტაციის წარდგენა და დაცვა ხორციელდება ამ დებულებით დადგენილი წესით. დისერტაციის დაცვის აუცილებელი წინაპირობაა სადისერტაციო ნაშრომზე საერთაშორისო გამოხმაურების არსებობა, სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაცია ამ დებულების II თავის 23.5 პუნქტის შესაბამისად.
33.3. ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის დარგის ინდივიდუალური (გარდამავალი) სადოქტორო პროგრამების დოქტორანტებზე ვრცელდება სადისერტაციო ნაშრომზე საერთაშორისო გამოხმაურებისა და სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაციის ის მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრულია ამ დებულების 23.5. და 23.8. პუნქტებით.
33.4. თსუ-ის ასპირანტები და მაძიებლები, რომელთაც შესრულებული აქვთ ამ დებულებით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტი და არა აქვთ ჩაბარებული საკანდიდატო მინიმუმის გამოცდები, სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული კრედიტების დაგროვების შემდეგ დისერტაციას წარადგენენ და დაიცავენ ამ დებულებით დადგენილი წესით.
33.5. ინდივიდუალურ სადოქტორო პროგრამებზე მიღება დასრულდა 2009-2010 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში.

33.6. ინდივიდუალურ სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვიდან ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ დოქტორანტის მომდევნო სემესტრში რეგისტრაციის წინაპირობა არის სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობა, რომელშიც უნდა დასაბუთდეს კვლევის გაგრძელების მიზანშეწონილობა. ხელმძღვანელი შუამდგომლობას წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს.

მუხლი 34. თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 17 დეკემბერის, №128/2012 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადებული სადოქტორო პროგრამები

34.1. თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 17 დეკემბერის, №128/2012 დაგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადებული სადოქტორო პროგრამების სტუდენტები გადაყვანილ იქნენ თავსებად აკრედიტირებულ სადოქტორო პროგრამებზე და გადაყვანისას სასწავლო და კვლევითი კომპონენტის აღიარება მოხდეს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წარდგინების საფუძველზე ფაკულტეტის საბჭოს მიერ დადგენილი წესით, სტუდენტთა ინტერესის მაქსიმალური დაცვით.
34.2. აკრედიტებულ სადოქტორო პროგრამებზე გადაყვანილი დოქტორანტებისთვის კვლევითი კომპონენტის შემადგენელი 20-კრედიტიანი 2 კოლოკვიუმის შესრულება სავალდებულო ხდება 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან.

თავი IV
დასკვნითი დებულებები

მუხლი 35. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

35.1. დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებას შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს თსუ–ის აკადემიური საბჭო.
35.2. დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.

მუხლი 36. დებულების მიღება და ამოქმედება

36.1. დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება დასამტკიცებლად გადაეცემა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.
36.2. დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება ამოქმედდება აკადემიური საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

ფორმა N 1

დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

დოქტორანტის სახელი და გვარი: _____

ფაკულტეტი: _____

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები:

_____

_____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები:

_____

_____

კონსულტანტი (არსებობის შემთხვევაში): _____

დოქტორანტურაში ჩაბარების თარიღი: _____

დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი: _____

N	სასწავლო კომპონენტი	კრედიტების შესაძლო რაოდენობა	სავარაუდო სასწავლო სემესტრი

დოქტორანტის ხელმოწერა: _____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების ხელმოწერა:

_____

_____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების ხელმოწერა:

_____

_____

თარიღი: _____

ფორმა N 2

დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა

დოქტორანტის სახელი და გვარი: _____

ფაკულტეტი: _____

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები:

_____

_____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები:

_____

_____

კონსულტანტი (არსებობის შემთხვევაში): _____

დოქტორანტურაში ჩაბარების თარიღი: _____

დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი: _____

სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება:

_____

სადისერტაციო ნაშრომის მოკლე აღწერილობა:

ა) კვლევის მიზანი:

ბ) საკითხის აქტუალობა, სიახლე და მნიშვნელობა:

გ) სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა:

დ) სადისერტაციო ნაშრომის შესრულების (კვლევის) სავარაუდო გრაფიკი:

კვლევითი საქმიანობა	კრედიტების რაოდენობა	სავარაუდო სასწავლო სემესტრი
I კოლოკვიუმი		
II კოლოკვიუმი		

დოქტორანტის ხელმოწერა: _____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების ხელმოწერა:

_____

_____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების ხელმოწერა:

_____

_____

თარიღი: _____

ფორმა N3

ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ
(პროფესორის ასისტენტობა)

დოქტორანტის სახელი და გვარი: _____

ფაკულტეტი: _____

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი:

_____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: _____

პროფესორი, რომელსაც დოქტორანტი უწევს ასისტენტობას_____

დოქტორანტურაში ჩაბარების თარიღი: _____

დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი: _____

პროფესორის ასისტენტობა ფასდება 100-ქულიანი სისტემით:

- ფრიადი (91 და მეტი ქულა) - A
- ძალიან კარგი (81-90 ქულა) - B
- კარგი (71-80 ქულა) -C
- დამაკმაყოფილებელი (61-70 ქულა) -D
- საკმარისი (51- 60 ქულა) - E
- ვერ ჩააბარა (41- 50 ქულა) FX
- ჩაიჭრა (40- ზე ნაკლები ქულა) - F

შეფასების კრიტერიუმების განმარტება:

ფრიადი - დოქტორანტმა ზედმიწევნით კარგად და სრულად შეასრულა დავალება.

ძალიან კარგი - დოქტორანტმა სრულად და ძალიან კარგად შეასრულა დავალება, არ დაუშვია არსებითი შეცდომები.

კარგი - დოქტორანტმა სრულად შეასრულა დავალება, მაგრამ დაუშვა არაარსებითი ხასიათის რამდენიმე შეცდომა.

დამაკმაყოფილებელი - დოქტორანტმა დავალება დამაკმაყოფილებლად, მაგრამ ხარვეზებით შეასრულა.

საკმარისი: დოქტორანტმა დავალება ნაწილობრივ შეასრულა. დაუშვა რამდენიმე არსებითი ხასიათის შეცდომა.

ვერ ჩააბარა - დოქტორანტმა დავალება არასრულად შეასრულა. მისი მიდგომა მცდარია; ვერ გამოამჟღავნა დასახული ამოცანის განსახორციელებლად საჭირო უნარები. დაუშვა რამდენიმე არსებითი შეცდომა.

ჩაიჭრა – დოქტორანტმა შეასრულა სამუშაოს მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები და/ ან არაადეკვატურად შეასრულა სამუშაო და/ ან არ შეასრულა დასმული ამოცანა.

შესრულებული სამუშაო	დახარჯული დროის მოცულობა	დოქტორანტის მიერ დაგროვილი კრედიტების რაოდენობა[1]	შეფასება
დოქტორანტის მიერ სამუშაო ჯგუფში ჩატარებული სემინარული მეცადინეობა	საკონტაქტო საათების რაოდენობა: დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა: სულ:		
დოქტორანტის მიერ სამუშაო ჯგუფში ჩატარებული პრაქტიკული მეცადინეობა	საკონტაქტო საათების რაოდენობა: დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა: სულ:		
ლაბორატორიული სამუშაო	საკონტაქტო საათების რაოდენობა: დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა: სულ:		
ლექცია "საბავშვო	საკონტაქტო საათების		

[1] ამა თუ იმ აქტივობაზე დახარჯული საათების საერთო რაოდენობა იყოფა 25-ზე და მიიღება შესაბამისი კრედიტი.

უნივერსიტეტში”	რაოდენობა: დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა: სულ:		
შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადება	მომზადებული მასალის მოცულობა: მასალის მომზადებაზე დახარჯული დრო:		
სტუდენტთა ნაშრომების გასწორება	ნაშრომების რაოდენობა: თითოეული ნაშრომის გასწორებაზე დახარჯული დრო: სულ:		
საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირება	ნაშრომების რაოდენობა: თითოეული ნაშრომის რეცენზირებაზე დახარჯული დრო: სულ:		
ელექტრონული სასწავლო კურსებისთვის მასალების მომზადება	მომზადებული მასალის მოცულობა: მასალის მომზადებაზე დახარჯული დრო:		
საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა	ნაშრომების რაოდენობა: თითოეული ნაშრომის ხელმძღვანელობაზე დახარჯული დრო: სულ:		
ტუტორობა	სტუდენტთა კონსულტაციაზე დახარჯული დრო:		
სხვა			

დოქტორანტის ხელმოწერა: _____

პროფესორის ხელმოწერა: _____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა : _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის
მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

ფორმა N 4

ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ
(პროფესორის ასისტენტობა - სხვა სახის აქტივობა)

დოქტორანტის სახელი და გვარი: _____

ფაკულტეტი: _____

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი:

_____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: _____

პროფესორი, რომლის ხელმძღვანელობითაც სრულდება აქტივობა_____

დოქტორანტურაში ჩაბარების თარიღი: _____

დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი: _____

შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით:

- ფრიადი (91 და მეტი ქულა) - A
- ძალიან კარგი (81-90 ქულა) - B
- კარგი (71-80 ქულა) - C
- დამაკმაყოფილებელი (61-70 ქულა) -D
- საკმარისი (51- 60 ქულა) - E
- ვერ ჩააბარა (41- 50 ქულა) FX
- ჩაიჭრა (40- ზე ნაკლები ქულა) - F

შეფასების კრიტერიუმების განმარტება:

ფრიადი - დოქტორანტმა ზედმიწევნით კარგად და სრულად შეასრულა სამუშაო.
ძალიან კარგი - დოქტორანტმა სრულად და ძალიან კარგად შეასრულა სამუშაო. არ დაუშვია არსებითი შეცდომები.
კარგი - დოქტორანტმა სრულად შეასრულა სამუშაო, მაგრამ დაუშვა არაარსებითი ხასიათის რამდენიმე შეცდომა.
დამაკმაყოფილებელი - დოქტორანტმა სამუშაო დამაკმაყოფილებლად, მაგრამ ხარვეზებით შეასრულა.
საკმარისი: დოქტორანტმა სამუშაო ნაწილობრივ შეასრულა. დაუშვა რამდენიმე არსებითი ხასიათის შეცდომა.
ვერ ჩააბარა - დოქტორანტმა სამუშაო არასრულად შეასრულა. მისი მიდგომა მცდარია; ვერ გამოამჟღავნა დასახული ამოცანის განსახორციელებლად საჭირო უნარები. დაუშვა რამდენიმე არსებითი შეცდომა.

ჩაიჭრა - დოქტორანტმა შეასრულა სამუშაოს მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები და/ ან არაადეკვატურად შეასრულა სამუშაო და/ან არ შეასრულა დასმული ამოცანა.

აქტივობის სახე (დეტალურად აღწერეთ დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაო)	**დახარჯული საათების რაოდენობა**[1]	**შეფასება**	**კრედიტების რაოდენობა**

დოქტორანტის ხელმოწერა: _____

პროფესორის ხელმოწერა: _____

სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის
მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____
თარიღი: _____

[1] ამა თუ იმ აქტივობაზე დახარჯული საათების საერთო რაოდენობა იყოფა 25-ზე და მიიღება შესაბამისი კრედიტი.